პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 10 ოქტომბერი № 233 (17578) ფასი 2 კაპ.

საქმეს გამოაჩინა

კომკავშირული საგზურით

სულიკო ასათიანი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კომკავშირული საგზურით ვანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში წავიდა სამუშაოდ. პირველი დღიდანვე შეიყვარა ახალგაზრდამ მეცხოველის საპატიო პროფესია და მალე ძროხების წველისა და მოვლის პროგრესული მეთოდებიც აითვისა. იგი ამჟამად სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა რიგებშია.

მიმდინარე წლის ცხრა თვეში მან თითოეულ ძროხაზე უკვე მიიღო 3500 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2100 კილოგრამისა.

სურათზე: ვანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მწველავი კომკავშირელი სულიკო ასათიანი.

გ. გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

□ 9 თვის შედეგები □ ჩამორჩენა... ობიექტური მიზეზით? □ ანალიზიდან მოქმედებისაკენ.

დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავის შესახვედრად

შეჯიბრება

გეგმა: რიტმი და ხარისხი

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა

რაც უფრო ვუახლოვდებით სამეურნეო წლის ფინიშს, მით უფრო მეტი ფასი ედება თითოეულ სამუშაო დღეს — იზრდება პროდუქციის სადღეღამისო წარმოება, რაოდენობრივ ზრდასთან ერთად უკლებლივ ყველა ხარისხობრივი მაჩვენებელიც მეტ მზრუნველობას მოითხოვს.

უკვე დროა წლის დამდეგს ნაკისრი ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმის თითოეული პუნქტი მისხალ-მისხალ შევაჯეროთ მიღწეულთან, უკანასკნელ კვარტალში ჩვენს პირად საწარმოო პროგრამას ჩვენივე რეალური შესაძლებლობები შევუპირისპიროთ.

აქვე დავძენთ, რომ წლევანდელი წლის საზრუნავს მნიშვნელოვნად ზრდის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ.

დადგენილება განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ხელმძღვანელ სამეურნეო კადრებს, იმათ, ვისაც ბარია ეკონომიკის, ტექნიკის, წარმოების სამართავი პულტი. „იმისათვის, რომ მართო, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — საჭიროა კომპეტენტური იყო, საჭიროა სავსებით და ზუსტად იცოდე წარმოების ყველა პირობა, საჭიროა იცოდე ამ წარმოების ტექნიკა მის თანამედროვე სიმაღლეზე, უნდა გქონდეს გარკვეული მეცნიერული განათლება“.

ცხადია, ახალი გაზრდილი შესაძლებლობებისა და მოთხოვნების ფონზე უნდა განვიხილოთ 9 თვის სამეურნეო შედეგები.

ცხრა თვის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის მატებამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,7 პროცენტი, რეალიზაციისა — 5,6, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ 5,4 პროცენტი შეადგინა. **შევნიშნავთ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით მიღებულია მთელი პროდუქციის ნამატის 82 პროცენტი, რაც უდავოდ თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს. განვლილ პერიოდში ზეგეგმით წარმოებულია 70 მილიონ 425 ათასი მანეთის პროდუქცია. საშუალო რესპუბლიკურთან შედარებით ზრდის უფრო სწრაფი ტემპი ჰქონდათ მსუბუქ, სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს.**

რესპუბლიკის საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილში პროდუქციის რაოდენობრივ ზრდას თან ახლავს ხარისხობრივი სრულყოფაც. მოვიყვანთ დამახასიათებელ მაგალითს ქუთაისის რეზინ-ტექნიკური ნაწარმის ქარხნის პრაქტიკიდან. წარმოების მატებამ 9 თვეში აქ 18,4 პროცენტს, ხოლო რეალიზაციისამ 18 პროცენტს მიაღწია, შრომის ნაყოფიერება კი 9,2 პროცენტით გაიზარდა. ამ სამოიდე წლის წინათ აქ ხარისხისნაშნიან პროდუქციას საერთოდ არ უშვებდნენ, ახლა კი ხარისხისნაშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა 26 პროცენტს შეადგენს, თუ 1976 წელს წუნით გამოწვეული დანაკარგები მთლიანი პროდუქციის 0,8 პროცენტს შეადგენდა, დღეისათვის იგი 0,007 პროცენტამდე შემცირდა.

ხარისხისნაშნიანი პროდუქციის ზრდის ტემპით ჩვენი რესპუბლიკა კვლავაც პირველ ადგილზეა. დღეისათვის ხარისხის ნიშანი მიკუთვნებული აქვს 258 საწარმოს მიერ გამოშვებულ 1828 სამრეწველო ნაწარმს, რომელთა შორის 1588 სახელმო მოხმარების პროდუქციაა. ხარისხისნაშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა ამჟამად თითქმის 18 პროცენტს შეადგენს, რაც ორჯერ სჭარბობს გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს. 132 საწარმოში უკვე მთლიანად არის დანერგული ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა.

ახლახან შეჯამდა სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხარისხისა და ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემათა დანერგვის დათვალიერება-ერთთვიურის შედეგები. დათვალიერებაში პირველი ადგილი მოიპოვა ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, მეორე — ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკამ და საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანამ“, მესამე ადგილი — აფხაზღვინკომბინატმა, კასპის ცემენტშიფერის კომბინატმა, ბათუმის ელექტროტექნიკურმა ქარხანამ, „თბილისკონდიტერმა“ და თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ.

სამუხაროდ, წარმოების ზრდისა და რაოდენობრივი სრულყოფის რეზერვებს ყველგან ჯერდე იყენებენ. უფრო მეტიც, ზოგან თვიდან თვემდე თმობენ წინათ მიღწეულს, ვეღარ აკმაყოფილებენ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მოთხოვნებს. და რა გამოდის? **რესპუბლიკის მეტი წილი საწარმოო კოლექტივების მუყაითობას, საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისადმი მისწრაფებას მნიშვნელოვნად აფერმკრთალებს ბევრი ჩამორჩენილი საწარმო. ამის გამოც არის,** რომ, წარმოების ინტენსიფიკაციის გეზი საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილში დასახულზე უფრო ნელა ხორციელდება. მაგალითად, 9 თვის რეალიზაციის გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყო ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, ხოლო საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ რეალიზაციასთან ერთად წარმოების გეგმის შესრულებასაც ვერ გაართვა თავი.

ჩამორჩენილ საწარმოებს იმსახურებს. ზოგჯერ საწარმო-მომხმარებელს არჩევანი არა აქვს და გარკვეულ დათმობაზე მიდის.

წარმოების ზრდის ტემპი გაცილებით სწრაფი იქნებოდა, საწარმოთა მეხუთედზე მეტს წარმოების შარშან მიღწეული დონე რომ არ შეემცირებინა. ისიც უნდა ითქვას, რომ მეტ წილ საწარმოებში წარმოების დონის შემცირებას თავად გეგმა ითვალისწინებს, მაგრამ ზოგან ამას გეგმის შეუსრულებლობა განაპირობებს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ ფაქტებს. 9 თვის მონაცემებით, გორის ბამბეულის კომბინატმა წარმოების გეგმის შესრულებას 3 მილიონ 744 მანეთი დააკლო, შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტმა“ მილიონ 174 ათასი მანეთი, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელმა“ 3 მილიონ 551 ათასი მანეთი და ა. შ.

ჩამორჩენილთა შორის არიან თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადი“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერი“, ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“, საწარმოო გაერთიანება „კავკასტრანსფორმატორი“, რუსთავის ამწესაშენებელი ქარხანა. **შევნიშნავთ, რომ შარშან, 9 თვის მონაცემებით, ამ საწარმოებს ჩამორჩენა არა ჰქონიათ.**

სამწუხაროდ, საგეგმო დისციპლინის დაცვას ზოგან პრინციპიალურად, კომპლექსურად როდი უდგებიან, არცთუ იშვიათად საგეგმო მაჩვენებლებს „ძირითად“ და „მეორეხარისხოვან“ მაჩვენებლებად ყოფენ. **სახელმწიფო გეგმაში კი ყველა მაჩვენებელი ძირითადია, ნებისმიერი მათგანის შეუსრულებლობა საგეგმო დისციპლინის, ესე იგი კანონის დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული.**

საგანგებოდ უნდა შეეგოთ გეგმების კორექტირების მრავალგზის დაგმობილ პრაქტიკას. ზზრად გეგმების შესწორება-შემცირების შემდეგ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადაჭარბებით ასრულებს არათუ შემცირებულ, არამედ პირვანდელ გეგმასაც კი. ისმის კითხვა: რა ფასი აქვს ციფრების ამგვარ „ალქიმიას“?

გეგმის ასეთი „შესწორებანი“ მეტწილად ცალკეული სამინისტროების, საწარმოების მუშაკთა არაორგანიზებულობისა და უმოქმედობის შედეგია. ამის გამო კი გეგმა კარგავს თავის დამრაზმველ, მამობილიზებელ ძალას, გადაიქცევა შირმად, რომელსაც მხოლოდ ის დანიშნულება აქვს, რომ არსებული ნაკლოვანებები რაც შეიძლება კარგად შენიღბოს.

ანალიზით ირკვევა, რომ საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილში გეგმის შედგენისას კვლავ უპირატესად ექსტენსიურ ფაქტორებს ეყრდნობიან, გეგმის შესრულება კი ავლენდა და ავლენს ინტენსიური ფაქტორების დიდ რეზერვებს,

ინდუსტრიის მუშაკთა სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის უმნიშვნელოვანესი თანაფარდობის ხშირი დარღვევები. საშუალო ხელფასის ზრდა კარგა ხანია წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელ, საშენ მასალათა, საქაღაზის, მშენებლობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში.

— ზოგიერთ საწარმოს არაფრად უღირს წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მაჩვენებლის — მოგების გეგმის შეუსრულებლობა. გადაუდებელ ამოცანად ისახება ავრეთვე საწარმოო კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების შემდგომი სრულყოფა, სოციალურ სფეროში დასახული ამოცანების უთუო შესრულება.

პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებების თავისებურება ისიც გახლავთ, რომ იზრდება სოციალური დაგეგმვის მნიშვნელობა. ეს სავსებით შეესაბამება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიულ ამოცანებს. ამიერიდან გეგმებში, მეურნეობის ყველა დონეზე დამუშავდება კრებსითი განყოფილება სოციალური დაგეგმვის სფეროში, მასში აისახება შრომის პირობების გაუმჯობესების, კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლების ღონისძიებანი, საგანმანათლებლო დონისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური განვითარების სხვა ღონისძიებები. **ჯერჯერობით კი, ჩვენი რესპუბლიკის ბევრ საწარმოში სოციალური დაგეგმვა ჯერ კიდევ ვერ იქცა სახელმწიფო გეგმის ორგანულ ნაწილად, ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა ბუნებრივად კი არა, ჯერ კიდევ ხელოვნურად: „თანაარსებობს“, რაც საწარმოო კოლექტივებში სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუჯობესებას როდი უწყობს ხელს.**

როგორც ვხედავთ, მიღწევებისა და ნაკლოვანებების თანაფარდობა ყველგან და ყოველთვის პირველის სასარგებლოდ არ იცვლება. ახლა, როცა სამეურნეო წლის ბოლომდე, სამ თვეზე ნაკლები დარჩა, საჭიროა, უფრო ეკონომიურად, უფრო მიზანსწრაფულად გამოვიყენოთ შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები.

„თვალყურს უნდა ვადევნებდეთ მეცნიერებისა და პრაქტიკის გამოცდილებას და ამასთანავე ადგილებზე განუხრელად უნდა მივისწრაფოდეთ იქითკენ, რომ გეგმა დანიშნულ ვადაზე ადრე სრულდებოდეს“.

ვ. ლენინის ეს სიტყვები მთელი ძალით ეხმიანება ქვეყნის სამეურნეო განვითარების ახლანდელ გეზს, დღესაც ჩვენი მუშაობის სტილის, პრაქტიკული საქმეებისადმი მიდგომის საფუძველთან საფუძველია.

ლანინაურლნენ

თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ი. მაჭავარიანი) კოლექტივმა, რომლის პროდუქციაზე ყოველთვის მომხმარებელთა დიდი მოთხოვნაა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მკერავებმა ხუთწლედის მეოთხე წლის იანვარ-სექტემბერში პროდუქციის რეალიზაციის დავალების — 25 მილიონ 25 ათას მანეთს — 375 ათასი მანეთით გადააჭარბეს. მათ ასევე მნიშვნელოვანი გადამეტებით (661 ათასი მანეთი) შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების დავალება.

განვლილ პერიოდში მკერავებმა თავი გამოიჩინეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეშიც. ცხრა თვეში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა საერთო მოცულობაში 29,7 პროცენტს მიაღწია. სულ მომხმარებლებმა 7 მილიონ 947 ათასი მანეთის ნაწარმი მიიღეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე დაწინაურდნენ და განსაკუთრებით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს № 4 სამკერვალო საამქრომ (უფროსი ციციონო შენგელია) და იმ ბრიგადამ, რომელსაც ლია ჭოლაძე ხელმძღვანელობს. („კომუნისტის“ კორ.).

ოთხი წლის გეგმა — ვადამდე

ტყიბული. (საკ. კორ. ვ. ციბეკიძე). ქალაქის ქვანახშირის შახტებში 19 საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი დიდი ოქტომბრის რევოლუციის 62-ე წლისთავის ალსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას. ბევრი მათგანი უკვე მიუახლოვდა ხუთწლედის ოთხი წლის მიჯნას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე მაღალი შრომითი წარმატება მოიპოვა ლენინის სახელობის შახტის მეექვსე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა, რომელსაც გამოცდილი სამთო ტექნიკოსი მ. გვენეტაძე უდგას სათავეში. ხუთწლედის დაწყებიდან მეექვსეუბნელებმა ათასი საკვანძო ეშელონი საკოქსე ქვანახშირი ამოიღეს და ვადაზე ადრე უპატაჟეს სამშობლოს ოთხი წლის დავალების შესრულება. სამ წელსა და ცხრა თვეში მოწინავე უბანმა 47 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი გაუგზავნა რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებს. ოთხი წლის მიჯნებს უკვე გადაბიჯეს ი. ბრეგაძის, ი. მაჩიტაძისა და ვ. ჩხენკელის ცვლებმაც.

მ. გვენეტაძის უბნის კოლექტივი, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რომლებიც რთული გეოლოგიური პირობებით არის გამოწვეული, არ ანებებს მუშაობის ტემპს და იბრძვის, რათა ხუთწლიანი გეგმა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შეასრულოს.

რთველი — 79

ყურძენი — მარნებში!

„სამტრესტის“ ცნობით, 9 ოქტომბრისათვის (ტონობით)

რაიონები	1979 წლის გეგმა	8 ოქტომბერს მოიკრიფა	ათასი ტონა
გურჯაანის	109800	1196	85888
თელავის	67000	840	62818
სიღნაღის	40000	128	44024
ახმეტის	36500	1771	33274
წიფელწყაროს	30800	32	22772
საგარეჯოს	24000	914	20154
ბოლნისის	12800	78	12250
მცხეთის	11000	470	2246
ლაგოდეხის	10800	166	12631
გარდაბნის	10700	272	4554
ხაშურის	5700	117	219
ზესტაფონის	26000	1259	14057
თერჯოლის	21000	968	13853
მაიაკოვსკის	16000	731	6039
ვანის	16800	500	5100
აფხაზეთის ასსრ	6900	761	3057
საჩხერის	6000	94	999
ორჯონიკიძის	5700	255	1197
წყალტუბოს ზონა	4000	78	756
ამბროლაურის	3500	185	860
აბაშის ასსრ	1850	62	264
სულ კახეთის რაიონებში	370400	5047	320197
სულ ქართლის რაიონებში	78590	980	40141
სულ დასავლეთ საქართველოს რაიონებში	126010	5082	50621
სულ რესპუბლიკაში	575000	11109	410959

შარშან ამავე დროს მოკრეფილი იყო 354669 ტონა.

მარნეულელთა ნობათი

დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს მარნეულის რაიონის წერეთლის, ყულარის, თამარისის საბჭოთა მეურნეობების მევენახეებმა. მათ გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. მთლიანად რაიონში გეგმით გათვალისწინებული 20.000 ტონის ნაცვლად დამზადებულია 47 ტონით მეტი ყურძენი.

უოველდღე ტონობით ყურძენს კრეფენ ჩუმლაყელი მევენახეები (გურჯაანის რაიონი). კომკავშირელმა გულნარა ჭიგოშვილმა შარშან დამთავრა ჩუმლაყის საშუალო სკოლა და დამთავრებისთანავე მშობლიურ სოფელში — მევენახეობაში დაიწყო მუშაობა.

შვიდასი, ხან უფრო მეტი კილოგრამი ყურძენი — ასეთია გულნარა ჭიგოშვილის ყოველდღიური შედეგი.

სურათზე: ჩუმლაყელი მოწინავე მევენახე კომკავშირელი გულნარა ჭიგოშვილი ყურძნის კრეფაზე.

ა. სააკოვის ფოტო.

ხელოვნების მაღალი მისია

9 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივის წარმომადგენლებს, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში დიდი წარმატებით გამოვიდა ედინბურგის თეატრალურ ფესტივალზე.

თეატრის მუშაკებმა, რომლებმაც ამ გამოსვლებში მაღალ გამოატარეს ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დროშა, წარმოადგინეს თავიანთი შემოქმედებითი ანგარიში, გაუზიარეს დამსწრეთ თეატრის საერთაშორისო დღესასწაულის მომახსენებელ აუდიტორიასთან შეხვედრების უშუალო შთაბეჭდილება, ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურა მათს სპექტაკლებს თეატრალური კრიტიკა, დიდი ბრიტანეთისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების პრესა. თეატრის მთავარი რეჟისორის რ. სტურუას, თეატრის დირექტორის ა. ბაქრაძის, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის ნ. გურაბანიძის, თეატრს წამყვანი მსახიობების ნაამბობი ზუსტად და მკაფიოდ ასახავდა ამ გასტროლების ძირითად შედეგს: ფესტივალის მაყურებლებისათვის, დიდი ბრიტანეთის ევროპაში, ისე პლანეტის ყველა სხვა რაიონში.

ჩვენ გვეჭირდება მშვიდობა, გვეჭირდება აღმშენებლობითი შრომის ბედნიერება მშვიდობიანი ცის ქვეშ. და ჩვენ მივაღწევთ ამას, რადგანაც ეს არის ფეოდალმენტური საფუძველი ჩვენი სახელმწიფოს, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა, რომელიც თანამიმდევრულად და განუხრელად ხორციელდება.

ლ. რაზმაძე,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მე, ისევე როგორც დიდი სამამულო ომის სხვა ვეტერანებს, გულში ჩამწვდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავის ზეიმზე. სულითა და გულით მივესალმები ჩვენი პარტიისა და მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებმაც ერთხელ კიდევ საქმით ცხადყვეს ჩვენი განუხრელი მისწრაფება მშვიდობისადმი.

მე ბატალიონს ვმეთაურობდი ბერლინის აღებისათვის გამართულ ქუჩის ბრძოლებში, დამბრეს სწორედ იმ ქუჩაზე — უნტერ დენ ლინდენზე, სადაც მოეწყო ზეიმი გერმანიის მიწა-წყალზე პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნის 30-ე წლისთავის გამო. ევროპის მშვიდობა, გერმანელი ხალხის თავისუფლება მოპოვებულია საბჭოთა მეომრებისა და გერმანიის საუკეთესო შვილების სისხლით. ნურასოდეს ნუ დანთებულიყოს ახალი ომის ხანძარი!

ტ. სახვაძე,
დიდი სამამულო ომის ვეტერანი, გადამდგარი მაიორი, საბრძოლო ორდენების კავალერი.

ხალხის გულისთქმა

უძლეველია სოციალისტური თანამეგობრობა

◆ მშვიდობა ყველას საზრუნავია სისხლის ფასად რომ მოვიპოვეთ.

კალინინის ყველა პატიოსანი ადამიანის აზრი და გრძნობა გამოხატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მკაფიო, ღრმაშინაარსიან სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების მშვიდობისმოყვარეობისა და კეთილი ნების ეს ახალი კონკრეტული გამოვლინება რწმენას გვინერგავს, რომ კაცობრიობას ექნება ნათელი მომავალი, მის სიცოცხლეს არ შეექმნება ბირთვული ხანძრის საფრთხე.

მე და ჩემს თანატოლებს არ გამოგვიცდია განვლილი ომის საშინელება. მაგრამ კარგად ვიცით, თუ რაოდენი ტანჯვა და გაჭირვება, უბედურება მოუტანა მან თითქმის ყველა საბჭოთა ოჯახს. ამიტომ არის ჩვენთვის ასე ახლობელი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ტიტანური მეცადინეობა, რომელიც მიზნად ისახავს მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფასა და დაძაბულობის შენელების გაღრმავებას როგორც

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘ.

ᲛᲔ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ, ᲒᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲛᲬᲕᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ 30-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲫᲘᲛᲔᲓᲒᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲪᲮᲝᲛᲐᲨᲘ. ᲡᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲛᲘᲕᲒᲚᲐᲕᲓᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲬᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ.

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ

პარტიული ცხოვრება: ვაკმოწმებთ შესრულებას

პერსპექტივის გათვალისწინებით

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ამბროლაურის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი ითვალისწინებს მთის რეგიონში სხვადასხვა მიზეზის გამო წინა წლებში მოშლილი მეურნეობის აღდგენას, მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობას, მის ახალ რელსებზე გადაყვანას.

ასეთი ძნელი ამოცანის შესრულებისათვის ზრუნვა რაიონის ყველა მშრომელის უპირველესი საქმე გახდა. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს, მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს მიეცათ კონკრეტული დავალებანი.

წელს გაზაფხულზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამბროლაურში მოაწყო სპეციალური თათბირი, რომელმაც დასახა დადგენილების შესრულებისათვის საჭირო დამატებითი ღონისძიებანი. ამ ცოტა ხნის წინათ კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა პარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივნის ინფორმაცია.

ყველა ამ კომპლექსური ღონისძიების ერთგვარი ლოგიკური გაგრძელება იყო რაიონული კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელიც ამასწინათ გაიმართა ამბროლაურში.

როგორც რაიკომის პირველი მდივნის ა. შარაბიძის მოხსენებაში აღინიშნა, დადგენილების მიღების შემდეგ განვლილ პერიოდში რაიონის მშრომელთა ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში გარკვეული ძვრები მოხდა. მშრომელთა სამსახურში ჩადგა მრავალი სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და კულტსაგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტი. მაგალითად, ურავში აშენდა ლითონური დარეშხანის ახალი, მძლავრი საამქრო. ხვანჭკარის საბჭოთა მეურნეობაში, წესისა და ჭელიაღელის კოლმეურნეობებში აიგო მეცხოველეობის ფერმები. ახლმა მაღაზიებმა დაამშვენა მთის სოფლების — თლუღის, ტბეთის და ჭრებალოს ცენტრები. მოსწავლეებისათვის კარგი საჩუქარია ნიკორწმინდის საშუალო, წესისა და ხიდიკარის რვაწლიანი სკოლები და სხვ.

ერთგვარი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. ახალი ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში, მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წარმოებულია თითქმის 4 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ამ მატების ნახევარზე მეტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

არც მრეწველობაში მიდის საქმე ურიგოდ. მეათე ხუთწლედში მრეწველობის მუშაკებმა აწარმოვეს 31.309 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია, გეგმა კი 29.847 ათას მანეთისას ითვალისწინებდა. პროდუქციის რეალიზაციის დავალება შესრულდა 5 პროცენტის გადაჭარბებით. მშენებლობის გეგმებს ყოველწლიურად წარმატებით ასრულებენ მე-10 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს და რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო საწარმოო უბნის კოლექტივები.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა პლენუმის მონაწილეებს აუწყეს, რომ დადგენილების 28 მუხლიდან 19 უკვე შესრულდა ან შესრულების პროცესშია. აღინიშნა სხვადასხვა სამინისტროს და უწყების როლი ამ დიდ საქმეში. ითქვა, რომ რაიონს განსაკუთრებით ქმედითს დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მისი აქტიური ჩარევით დამუშავდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერაციისა და სპეციალიზაციის ოპტიმალური სქემა. აღნიშნულმა სამინისტრომ და „საქსახსოფლტექნიკამ“ რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად ალაურ საძოვრებზე, ურთულეს პირობებში, მიიყვანეს საავტომობილო გზა. სამინისტრომ თავისი სახსრებით ჭყვიშის სანერგე მეურნეობაში ააშენა ვაზის ნერგის გამოსაყვანი მძლავრი ელექტროსტრატოფიკატორი.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილისა, ზოგიერთ რესპუბლიკურ უწყებას უფრო მეტი შეეძლო, ვიდრე გააკეთა. მაგალითად: საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს დავალებული ჰქონდა დაემუშავებინა დოკუმენტაცია რაიონის მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზოგიერთი სახეობის სამთო ტექნიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიის დასანერგად. ინსტიტუტმა დადგენილების ეს მოთხოვნა არ შეასრულა, რის გამოც სოფლის მეურნეობაში დიდი მოცულობის შრომატევადი სამუშაოები კვლავ ხელით, პრიმიტიული იარაღებით სრულდება.

საყვედური გამოითქვა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მისამართით, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დავალებული ჰქონდა სარწყავი კულტურული საძოვრების შექმნა და დაჭაობებული ნიადაგების ამოშრობა.

მექანიზებულ სატყეო მეურნეობაში გათვალისწინებული იყო პარკების დამამზადებელი საამქროს მოწყობა და მთელი რიგი სხვა სამუშაოები, შესრულების ვადა ამოწურა, მაგრამ არაფერი არ გაკეთებულა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს რომ მოენდომებინა, ახლა რაიონის მშენებლობები უზრუნველყოფილი იქნებოდნენ ხე-ტყის ნაწარმით.

რაიონის სამრეწველო კომბინატს გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე აკეთებს. სუსტია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს რაიონში არსებული თაბაშირის უმდიდრესი რესურსების ათვისებისა და გამოყენების საკითხი. დადგენილების შესაბამისად, ამ საკითხის მოგვარება საშენ მასალათა მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს აქვთ დაკისრებული.

პლენუმის მთელ მუშაობას წითელ ზოლად გასდევდა რაიონის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისათვის ზრუნვა. ითქვა, რომ წლების მანძილზე გადაჭარბებთ სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები, მაგრამ იმის არავინ კითხულობს, თუ რა ჯდება ამ პროდუქტების წარმოება.

— ახლა მთავარი ის არის, რომ ავამოქმედოთ ჩვენს ხელთ არსებული რეზერვები, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ გავაიაფოთ პროდუქციის თვითღირებულება. ვის რაც უნდა მამასისხლად ღირებული ყურძენი, ხილი, ხორცი, რძე და კვერცხი — ასეთი აზრი გაატარეს გამოსვლებში ხვანჭკარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. აკობიძემ, სოფელ წესის მევენახე ბრიგადირმა ი. კობერიძემ, ნიკორწმინდის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. კობახიძემ, ბოსტნის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. ჯანგიძემ. ნათქვამის დასადასტურებლად მოიშველიეს მეტად საყურადღებო ციფრობრივი მაჩვენებლები: შარშან ცენტრი ყურძნის თვითღირებულებამ 64 მანეთი შეადგინა. ცენტნერი საქონლის ხორცის ღირებულება საგეგმოსთან შედარებით 262 მანეთით მეტი დაჯდა, ღორის ხორცის თვითღირებულება გაიზარდა თითქმის 300 მანეთით, მარცვლისა — 193 მანეთით, ხოლისა — 53 მანეთით.

ეს სავალალო სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, თქვეს პლენუმზე, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობისა და მეურნეობის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს რენტაბელურად მუშაობა. ყურადღება არ ექცევა მეცნიერების მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას, ყველა რეზერვის გამოვლენასა და ამოქმედებას.

საქართველოს კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ნ. ვაშაძემ, რესპუბლიკის მთავარი საბაგირო გზების სამმართველოს უფროსმა შ. ორჯონიკიძემ, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ტ. ბენდუქიძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ს. ჯინჯიხაძემ, „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ რ. კრიჭინაშვილმა, აკადემიკოსმა ი. ხოხლოვმა, „სახსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ყაზახაშვილმა, კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. კობახიძემ, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარმა სპეციალისტმა ვ. ჭიჭინავამ პლენუმის მონაწილეებს აღუთქვეს, რომ ისინი გაითვალისწინებენ თავიანთი უწყებების მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს და ყოველ ღონეს იხმარენ დადგენილებით გათვალისწინებული პუნქტების უთუო შესრულებისათვის.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე.

მიღებულ დადგენილებაში აისახა ის კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც პლენუმის მონაწილეებმა გამოთქვეს რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების მიზნით.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

პარტიული ცხოვრება: ვაკმოწმებთ შესრულებას

ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისთვის

ბოლო ორ-სამ კვირაში ბევრ ადგილზე ჩატარდა ინდივიდუალური საუბრები ადამიანებთან, ბევრ ადგილზე ჩატარდა ფართო საუბარი ეკონომიკურ საკითხებზე, ბევრ ადგილზე ეკონომიკურ საკითხებზე ინფორმაციები

ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ

ᲐᲮᲚᲘᲡ თქმის მსურველნი, საზოგადოდ, და მეცნიერებაში, კერძოდ, რიცხობრივად ბევრად აღემატებიან იმათ, ვისაც ამ სფეროს შესაფერი უნარიც აღმოაჩნდება ხოლმე. ამიტომ ბევრს როდი ხელეწიფება საკუთარი, ამასთან ღირსეული წვლილი შეიტანოს მეცნიერების საგანძურში.

რეგიონალური ეკონომიკა ეკონომიკური მეცნიერების ახალი, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა.

საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის კონკრეტული, რეგიონალური ასპექტით გამოკვლევას ეძღვნება პროფესორ ვ. მელქაძის მონოგრაფია.* ამთავითვე შევნიშნავთ, რომ ეს არის ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც პრობლემათა ახალი დასმით, საკითხთა ფართო ჭრილითა და ჩამოყალიბებული დასკვნებისა და დებულებების მნიშვნელობით გამორჩეულ ადგილს იკავებს რეგიონალური ეკონომიკის მეცნიერულ ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, ქვეყნის ერთიანი სამეურნეო ორგანიზმის ყოველი ტერიტორიული ნაწილი ფორდება საერთო ობიექტური კანონების მოთხოვნათა მიხედვით, ხოლო ამ კანონზომიერების საფუძველზე შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკა, მისი სტრატეგიული თუ ტაქტიკური საფუძვლები წარმატებით გამოიყენება ქვეყნის თითოეულ რეგიონში. საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ხომ ასეც წერია: „საქართველოს სსრ ეკონომიკა შემადგენელი ნაწილია ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისა, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს მოიცავს“.

სადავო არ არის ის დებულება, რომ ერთიანი ეკონომიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძვლები არ შეიძლება ტრაფარეტულად, შაბლონურად მივუყენოთ ყველა რესპუბლიკას და რეგიონს. აუცილებელია ამ საფუძვლების შემოქმედებითი გამოყენება, ადგილობრივ თავისებურებებთან მისაგებება.

პროფესორი ვ. მელქაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „რეგიონალური ეკონომიკის მეცნიერების სრულიად ახალ პრობლემად გვევლინება ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების მეურნეობის კომპლექსური განვითარების დაგეგმვის თეორია და პრაქტიკა“ (გვ. 6).

გამოკვლევის პირველ ნაწილში ავტორი თანამედროვეულად ახასიათებს ეკონომიკის მეცნიერების ახალ მიმართულებას, მოცემულია რეგიონალური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები, ამ უკანასკნელის ფონზე კი დასაბუთებულია საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის რეგიონალური სტრუქტურის გაანალიზებისა და შესაბამისი ბალანსების შედგენის მეთოდიკა, სათანადო სიდიდეების მეცნიერული და გამოყენებითი მნიშვნელობა რეგიონების საანგარიშო და საგეგმო კონცეფციის ანალიზისათვის.

საინტერესოა ვ. მელქაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რეგიონალური ეკონომიკის მეცნიერების მიღწევებს, თავის მხრივ, შეუძლია გამდიდროს პოლიტიკური ეკონომიის თეორიული საგანძური. ავტორს რეგიონალური ეკონომიკის ყველაზე აქტუალურ ამოცანებად მიაჩნია: სხვადასხვა რანგის რეგიონების მეურნეობის მიზანდასახული ფორმირება, რეგიონის ეკონომიკის დაგეგმვა, ბალანსი, ეროვნული მასშტაბით შრომის ტერიტორიული დანაწილების სისტემაში მათი ადგილის განსაზღვრა, ადგილობრივი სამეურნეო კომპლექსის, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის პრიორიტეტული განვითარება, დარგთაშორისი, რეგიონთაშორისი და შიგარეგიონალური კავშირის სრულყოფა.

ნაშრომში სავსებით სამართლიანად არის მითითებული, რომ საწარმოო ძალთა განლაგების, საზოგადოებრივი წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის, რეგიონების განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორია და პრაქტიკა წარმოადგენს ბაზას, რომლის ნიადაგზე მუშავდება სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებანი.

მონოგრაფიის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ რეგიონალური ეკონომიკის მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა განხილულია ფართო ასპექტით — სოციალისტური ქვეყნების სწავლულ რეგიონალისტთა VII საერთაშორისო თათბირის შედეგების ფონზე, ამ თვალსაზრისით განხილულია ყველა საგულისხმო სიახლე. დამაჯერებლად არის ნაჩვენები აგრეთვე რეგიონალური ეკონომიკის მეცნიერების განვითარების პერსპექტივები როგორც საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში, ისე სსრ კავშირში, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაშიც.

ვ. მელქაძე უფრო დეტალურად განიხილავს საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში ამ თვალსაზრისით შესრულებულ ნაშრომებს.

ინსტიტუტში შექმნილმა სპეციალურმა განყოფილებებმა შიიმუშავეს ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმების მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებანი, ქ. ბათუმის, წითელწყაროსა და ლანჩხუთის რაიონების გრძელვადიანი განვითარების გეგმის ეკონომიკური ნაწილის შედგენის მთავარი სამუშაოები. მათვე შეადგინეს ენგურჰესის, გაერთიანება „საქნავთობის“ და მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმების დასაბუთებები. ინსტიტუტის საწარმოო ძალთა განლაგების, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის განყოფილება კარგა ხანია აწარმოებს გამოკვლევებს რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობათა გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლები, ამ გაანგარიშებათა შემეცნებითი და პრაქტიკული გამოყენების მთავარი მიმართულებანი.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი, რომელიც მთლიანად ცხრილებია და რუკა-სქემებისაგან შედგება, დამაჯერებლად წარმოაჩენს რესპუბლიკის მთლიანი და წმინდა პროდუქციის მოცულობას, დარგობრივ და სოციალურ სტრუქტურას მისი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, მიკროეკონომიკური ზონების, ქალაქებისა და სასოფლო რაიონების მიხედვით, მოყვანილი მასალები ახასიათებს აგრეთვე მთლიანი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის შიგარესპუბლიკურ რეგიონალურ და საშუალო რესპუბლიკურ სიდიდეებს ერთ სულ მოსახლეზე, მატერიალური წარმოების ერთ მუშაკზე და ძირითადი საწარმოო ფონდების ერთ მანეთზე გაანგარიშებით. მდიდარი ციფრობრივი მასალა დაჯგუფებულია დარგობრივი, სოციალური და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

მონოგრაფია დამაჯერებლად მეუთითებს, რომ მის ავტორს ეკონომიკური მეცნიერების, მათ შორის რეგიონალური ეკონომიკური მეცნიერების გაბვითარებისა და გამდიერების ერთადერთ სწორ გზად სამეურნეო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადება მიაჩნია. დიდძალი ანალიზური მასალების საფუძველზე გამოტანილი დასკვნები ამტკიცებს, რომ ეს ასეა.

სარეცენზიო გამოცემა შეიცავს საყურადღებო სიახლეებს სარეგიონალო-სგამომცემლო ტექნიკის თვალსაზრისითაც. ჯერ ერთი, იგი ორენოვანი გამოცემაა. მეცნიერული გამოკვლევის ტექსტი დაბეჭდილია ქართულ და რუსულ ენებზე. მეორე, ქართულ და რუსულ ენებზეა დაბეჭდილი ყოველი ცხრილის ქვედაბარე და შემასმენელი. მესამე, საყურადღებო სიახლეა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში რუკა-სქემების გამოყენება საშუალო რესრუბლიკური მაკროეკონომიკური სინთეზური სიდიდეების მიმართ ცალკეულ ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების პროცენტული გამოსახვისათვის.

ნოვატორული შემოქმედებითი სიახლეებით ხასიათდება გამოკვლევის ყველა ძირითადი მიმართულება. პირველი სიახლე ის გახლავთ, რომ რესპუბლიკის მიკრორეგიონების მიხედვით განმაზოგადებელი ეკონომიკური მაჩვენებლების აბსოლუტური და შეფარდებითი ოდენობების სისტემის გაანგარიშება და გამოკვლევა საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში მოხდა. (1967, 1972 და 1975 წლების მონაცემების მიხედვით). ასეთი გამოკვლევები შესრულებულია სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტში პროფესორ ვ. მელქაძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით.

მეორე დამახასიათებელი სიახლე ის არის, რომ ინსტიტუტის კოლექტივი პროფესორ ვ. მელქაძის ხელმძღვანელობით არ ქმაყოფილდება ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე რთული გაანგარიშებებისა და მტკიცული შედეგების ანალიზით. ინსტიტუტის კოლექტივის მიერ ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური ტერიტორიული გეგმების შედგენისათვის შემოშავებული როგორც საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში, ისე სსრ კავშირში, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაშიც.

ვ. მელქაძე უფრო დეტალურად განიხილავს საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში ამ თვალსაზრისით შესრულებულ ნაშრომებს.

ინსტიტუტში შექმნილმა სპეციალურმა განყოფილებებმა შიიმუშავეს ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმების მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებანი, ქ. ბათუმის, წითელწყაროსა და ლანჩხუთის რაიონების ვრძელვადიანი განვითარების გეგმის ეკონომიკური ნაწილის შედგენის მთავარი სამუშაოები. მათვე შეადგინეს ენგურჰესის, გაერთიანება „საქნავთობის“ და მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმების დასაბუთებები. ინსტიტუტის საწარმოო ძალთა განლაგების, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის განყოფილება კარგა ხანია აწარმოებს გამოკვლევებს რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობათა გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლები, ამ გაანგარიშებათა შემეცნებითი და პრაქტიკული გამოყენების მთავარი მიმართულებანი.

პროფესორი ვ. მელქაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „რეგიონალური ეკონომიკის მეცნიერების სრულიად ახალ პრობლემად გვევლინება ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების მეურნეობის კომპლექსური განვითარების დაგეგმვის თეორია და პრაქტიკა“ (გვ. 6).

გამოკვლევის პირველ ნაწილში ავტორი თანამედროვეულად ახასიათებს ეკონომიკის მეცნიერების ახალ მიმართულებას, მოცემულია რეგიონალური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები, ამ უკანასკნელის ფონზე კი დასაბუთებულია საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის რეგიონალური სტრუქტურის გაანალიზებისა და მასწავლებელთა გაანგარიშების მეთოდიკა, სათანადო სიდიდეების მეცნიერული და გამოყენებითი მნიშვნელობა რეგიონების საანგარიშო და საგეგმო კონცეფციის ანალიზისათვის.

საინტერესოა ვ. მელქაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რეგიონალური ეკონომიკის მეცნიერების მიღწევებს, თავის მხრივ, შეუძლია გამდიდროს პოლიტიკური ეკონომიის თეორიული საგანძური. ავტორს რეგიონალური ეკონომიკის ყველაზე აქტუალურ ამოცანებად მიაჩნია: სხვადასხვა რანგის რეგიონების მეურნეობის მიზანდასახული ფორმირება, რეგიონის ეკონომიკის დაგეგმარება, სპეციალიზაცია, თითო ქვეყნის მასშტაბით შრომის ტერიტორიული დანაწილების სისტემაში მათი ადგილის განსაზღვრა, ადგილობრივი სამეურნეო კომპლექსის, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის პრიორიტეტული განვითარება, დარგთაშორისი, რეგიონთაშორისი და შიგარეგიონალური კავშირის სრულყოფა.

ნაშრომში სავსებით სამართლიანად არის მითითებული, რომ საწარმოო ძალთა განლაგების, საზოგადოებრივი წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის, რეგიონების განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორია და პრაქტიკა წარმოადგენს ბაზას, რომლის ნიადაგზე მუშავდება სოციალისტური მეურნეო-

*) ვ. მელქაძე — „საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის რეგიონალური სტრუქტურა“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1978, 301 გვ.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐᲔᲗᲘᲗᲝ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ

ᲫᲕᲔᲚᲘᲐ პოეზიისადმი უფრო გულისხმიერი აუდიტორიის პოეზია ვიდრე სტუდენტურია. ეს თვალნათლივ ცხადყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა შეხვედრამ სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიური ლიტერატურის დღეების მონაწილეებთან. დარბაზში შეკრებილთა გრძნობები გამოხატეს უმაღლესი სასწავლებლის პრორექტორმა ზ. ფორაქიშვილმა, პროფესორმა ს. ხუციშვილმა, სტუდენტმა ლ. ყიფიანმა, რომელნიც მიესალმნენ სტუმრებს და აღნიშნეს ჩეხოსლოვაკიური ლიტერატურის დიდი პოპულარობა საქართველოში. ჩეხოსლოვაკიელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, გოტვალდის სახელობის პრემიის ლაურეატმა იან კოზაკმა თქვა:

— ჩვენ გაგვაკვირვა არა მარტო სამხრეთის ზღვამ, არამედ თქვენი გულის სითბომაც. ჩვენ ვუამბობთ ჩეხოსლოვაკიელ მკითხველებს, რომ ეს შეხვედრა ჩვენი ხალხისადმი გულწრფელი მეგობრობით იყო აღსავსე. ვუამბობთ თუ რაოდენ დიდ პატივს სცემენ საქართველოში ჩვენი დიდი პედაგოგის იან ამოს კომენსკის უკვდავ შემოქმედებითს მემკვიდრეობას, რაოდენ კარგად იცნობენ თქვენთან თანამედროვე ჩეხოსლოვაკიურ ლიტერატურას.

შემდეგ სიტყვა დაეთმო პოეზიას — გაისმოდა ლექსები ქართულ, რუსულ, ჩეხურ, სლოვაკურ ენებზე. მათ კითხულობდნენ პოეტები ი. ნონეშვილი, მ. ფოცხიშვილი, ჯ. ჩარკვიანი, ვ. მიგალეკი, ი. პეტერკა... შეხვედრა უნივერსიტეტში პოეზიისა და ხალხთა მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე.

ᲓᲔᲕᲘᲖᲘ— ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ!

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲐᲓ შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიელ მწერლებსა და მათ ქართველ თანამამძღვებ გულუხვი კახეთის მშრომელები. პირველი შეხვედრა მოეწყო პატარძეულში, საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში. ლიტერატორებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს მხატვრული სიტყვის დიდოსტატის, მშობლიური ხალხის შთაგონებული მომღერლის ხსოვნას.

შემდეგ მწერლებს მასპინძლობდნენ საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. სტუმრები საგარეჯოელებთან ერთად მონაწილეობდნენ ყურძნის კრეფაში...

მოძმე ხალხის ლიტერატურის წარმომადგენლებს გულთბილად მიესალმა პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი მ. მეზვრიშვილი და მიიწვია პოეზიის საღამოზე. რაიონის მშრომელთა სახელით ჩეხოსლოვაკიელ და ქართველ მწერლებს მიესალმა პარტიის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურჯიძე.

საგარეჯოელები ყურადღებით უსმენდნენ ჩეხი, სლოვაკი და ქართველი პოეტების გამოსვლებს.

ჩეხოსლოვაკიური ლიტერატურის დღესასწაული საბჭოთა კავშირში გრძელდება. ახლა მან სომხეთში გადაინაცვლა. ჩეხოსლოვაკიელ მწერალთა დელეგაცია, რომელსაც ი. კოზაკი ხელმძღვანელობს, 8 ოქტომბერს თბილისიდან ერევანს გაფრინდა. (საინფორმაციო).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

რᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ვიუწყებოდით, ამ დღეებში ქ. წყალტუბოში გაიმართა ისტორიკოსთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თემას — „საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი და კავკასიის მშრომელთა ბრძოლა ინტერვენტებისა და ადგილობრივი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ 1919 წელს“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ი. მანცი. „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა დ. გედენიძემ რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

□

კᲘᲗᲮᲕᲐ: რამ განაპირობა საქართველოში ისტორიკოსთა წლევანდელი საკავშირო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება?

პᲐᲡᲣᲮᲘ: საქართველოს დიდად საამაყო რევოლუციური წარსული აქვს. მართალია, რუსეთში რევოლუცია გამარჯვებით 1917 წელს დაგვირგვინდა, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება 1921 წელს დამყარდა, მაგრამ ამ პერიოდში აქ სიწყნარე როდი სუფევდა. 1917-1921 წლები აღსავსეა საქართველოს მშრომელთა რევოლუციური აღტყინებით, ხალხის ფართო მასების შინაგანი მობილიზებით, რევოლუციის გარდაქმნებისათვის. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ გურიის მოსახლეობის რევოლუციური გამოსვლები, მენშევიკურ ჯარებში ჯარისკაცთა მღელვარება, სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობა, სოხუმის გარნიზონის აჯანყება და ა. მაშასადამე, საქართველოში მართლაც ძლიერ იგრძნობოდა რევოლუციური სულისკვეთება. სამწუხაროდ, ზოგიერთ უცხოელ ისტორიკოსს ეს ასე როდი მიაჩნია. უფრო მეტიც, კარლ კაუცკი, რომელიც იმ დროს საქართველოში მოგზაურობდა, ამტკიცებდა, რომ აქ სიწყნარეა, ხალხი რევოლუციისათვის განწყობილი არ არის, მშრომელი მასები პოლიტიკისაგან შორს არიანო. სინამდვილეში კი იგი ღუქნებში

ᲫᲐᲚᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ...

დადიოდა, დროს ატარებდა და არც შეეძლო ხალხის რევოლუციური აღტყინება შეემჩნია.

საქართველო იმიტომაც ავირჩიეთ ისტორიკოსთა ამ დიდი ფორუმის ადგილად, რომ აქ საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული რევოლუციური წარსულის მეცნიერულად შესწავლის საქმე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ნ. მახარაძის, ნ. სტურუასა, ა. სურგულაძის და სხვათა დამსახურება.

კᲘᲗᲮᲕᲐ: რატომ აირჩიეთ კონფერენციის თემად საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი და კავკასიის მშრომელთა ბრძოლა ინტერვენტებისა და ადგილობრივი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ 1919 წელს?

პᲐᲡᲣᲮᲘ: საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტიკომუნისტები ამუშავებენ და აქვეყნებენ შრომებს, რომლებშიც ღრმად და მეცნიერულად არის გაანალიზებული ჩვენი რევოლუციური წარსული. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამ მოხსენებებიდან კარგად ჩანს უცილობელი ჭეშმარიტება — ჩვენი ძლიერების წყარო მუდამ იყო და იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელთა მჭიდრო კავშირი, ძმობა და ერთობა.

ჩვენს გამოცდილებას ღრმად სწავლობენ მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც სულ უფრო და უფრო ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

კᲘᲗᲮᲕᲐ: ამ კონფერენციაში თქვენმა მონაწილეობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. გთხოვთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს უამბოთ, რაზე მუშაობთ ამჟერად?

პᲐᲡᲣᲮᲘ: მე უკვე 84 წლისა ვარ. ვჩქარობ, რომ რაც შეიძლება მეტი მოვასწრო. პირველ ყოვლისა ისევ და ისევ ვუბრუნდები დიდი ოქტომბრის თემას. მეორე გამოცემისათვის ვამზადებ სამტომიან შრომას „დიდი ოქტომბრის ისტორია“, თითქმის დამთავრებული მაქვს წიგნი, რომელშიც გაშუქებული იქნება ჩვენი პარტიისა და ხალხის ბრძოლა სოციალიზმის საფუძვლის შექმნისათვის. ეს მოიცავს რევოლუციის შემდგომ წლებს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით, და გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მადლობა მოვახსენო კონფერენციის მოწვევის ორგანიზატორებს, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, მის მებრძოლ ბირთვს, ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ასე დაუცხრომლად და რევოლუციური გაქანებით ხელმძღვანელობს და წარმართავს რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობას.

● ●

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲣᲡ: აკადემიკოსი ი. მანცი (მარჯვნიდან მეოთხე) სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებთან ერთად.

ბ. ლულლოვაძის ფოტო.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ
ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ

ᲒᲛᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲒᲛᲝᲑᲔᲜ

ᲕᲐᲜᲐᲒᲣᲐ, 9 ოქტომბერი. ნიკარაგუის ხალხი და მთავრობა გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას გააძლიროს ამერიკის სამხედრო ყოფნა კარიბის ზღვისა და ცენტრალური ამერიკის ზონაში, განაცხადა ნიკარაგუის მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოსა და ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა დანიელ ორტეგამ მანაგუაში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას.

კითხვაზე, თუ როგორ მოქცევა ნიკარაგუა, თუკი ქვეყნის უშიშროებას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის საფრთხე შეექმნა, დ. ორტეგამ თქვა: არა მგონია, შეერთებულმა შტატებმა მსგავსი ავანტიურა წამოიწყოსო. მაგრამ ვაცხადებთ, რომ ნიკარაგუელი ხალხი, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, საკადრის პასუხს გასცემს ნებისმიერ აგრესიას.

ნიკარაგუის მმართველი რევოლუციური საბჭოს წევრმა გადაჭრით დაგმო კონტრრევოლუციონერთა საქმიანობა, რომლებიც შეთქმულების ქსელს ამბავენ ნიკარაგუაში რევოლუციური პროცესის წინააღმდეგ.

დ. ორტეგამ, აგრეთვე ნიუ-იორკიდან დამბრუნებულმა ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს წევრებმა სერხიო რამირესმა და ალფონსო როგელომ კმაყოფილება გამოთქვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIV სესიის მუშაობაში ნიკარაგუის დელეგაციის მონაწილეობის გამო.

ნიკარაგუის მთავრობა არ გადაიხდის უცხოური კრედიტებისა და სესხების ვალებს, სომოსას რომ მისცეს ხალხის საკუთრი იარაღის შესასყიდად, აგრეთვე კრედიტებს, რომლებიც, დიქტატორსა და მის დამჭაშებს მისცეს, და ქვეყანას კი არ მოახმარეს, არამედ მაშინვე გადაიტანეს საზღვარგარეთის ბანკებს ანგარიშზე. ეს, თქვა ა. როგელომ, დელეგაციამ აცნობა ამერიკის მხარეს შეერთებულ შტატებში მოლაპარაკების დროს.

ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲰᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ

ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ შტატებში იქმნება ეგრეთ წოდებული „სწრაფი რეაგირების კორპუსი“, რომელიც გათვალისწინებულია ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურის რაიონში სამოქმედოდ. როგორც ცნობილია, პენტაგონმა გამოაცხადა, რომ 110 ათასკაციანი ეს საექსპედიციო კორპუსი იქმნება „საგანგებოდ“ და იმ შემთხვევებისათვის, თუ „პლანეტის ცხელ წერტილებში კრიზისული სიტუაციები“ წარმოიშვა. გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ აღნიშნავს, რომ ახლა შეერთებული შტატები მზად არის „კონტროლი გაუწიოს არაბული ნავთობის ყველა მისადგომს“.

დასავლეთგერმანულ ყურნალ „ფუნტედან“ ამოღებულ სურათზე ხედავთ ამერიკელ ჯარისკაცებს, რომლებიც წვრთნას გადიან კალიფორნიის შტატის უდაბურ რაიონში, ისეთ პირობებში, რომელიც ახლო აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის ბუნებრივი პირობების მსგავსია.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

9 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. მასობრივი უმუშევრობა ამერიკის „თანაბარ შესაძლებლობათა“ საზოგადოებაში მშრომელთა უბედურებად რჩება. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტრო იუწყება, სექტემბერში უმუშევრობის დონემ შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რიცხვის 5,8 პროცენტი შეადგინა. თავისი ძალები ვერ გამოუყენებია 6 მილიონამდე კაცს.

მთავრობის ცნობა არ ასახავს „ზედმეტ ადამიანთა არმიის“ ჭეშმარიტ ოდენობას, რადგან იგი არ ითვალისწინებს იმათ, ვისაც სახო წარეკვეთა და რეგისტრაციაში აღარ ტარდება შრომის ბირჟებზე. პროფკავშირთა მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ ცოტა 10 მილიონი უმუშევარია.

ᲘᲡᲚᲐᲛᲐᲑᲐᲓᲐᲓ. პაკისტანის მთავარმა სამხედრო ადმინისტრატორმა, პრეზიდენტმა გენერალმა ზია-ულ-ჰაკმა განაცხადა, რომ 17 ნოემბრისათვის დანიშნული პარლამენტის საყოველთაო არჩევნები მოგვიანებით გაიმართება. აქ ისლამის შემსწავლელი ინსტიტუტის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიაზე გამოსვლის დროს პაკისტანის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პაკისტანის იდეოლოგია მხოლოდ ისლამი იქნება და ვერავითარ სხვა მსოფლმხედველობას ვერ შეურიგდებიან“.

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში ახალი ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა შეიმუშავა ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და ირიგაციის სამინისტრომ. ამუამად ინდოეთში ხორციელდება ჩაის მრეწველობის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა. დასახულია ამოცანა, რომ ჩაის კრეფა 1985 წლისათვის 750 მილიონ კილოგრამამდე გაზარდონ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანას, ჩაის ფოთლის მანქანური კრეფის დანერგვას.

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ. სეიშელის კუნძულების რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა პრეროგატივები შეუზღუდოს ამერიკის ადმინისტრაციას თანამგზავრების თვალთვალის სადგურში, რომელიც მაეს კუნძულზე შეიქმნა ამ კუნძულების დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. როგორც ყურნალი „ოსეან ენდიენ აქტიუელი“ წერს, სეიშელის ადმინისტრაციისა და პოლიტიკური ორიენტაციის საქმეთა მინისტრმა გი სონნმა და სადგურის ხელმძღვანელმა ჯორჯ ბიუკენენმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლითაც შეიცვალა მისი სტატუსი. ამიერიდან მაეს კუნძულზე დაცვა დაეკისრა ადგილობრივ პოლიციას. ყურნალის აზრით, ეს დოკუმენტი პირველი ნაბიჯია სეიშელის კუნძულებზე ამერიკის სამხედრო ყოფნის ლიკვიდაციის გზაზე.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲰᲘᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲛᲔᲠᲛᲔᲢᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲕᲘᲔᲜᲐᲜᲘ, 9 ოქტომბერი. ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „სიენგ პასასონი“ იუწყება, რომ ლაოსის ჩრდილოეთის სასაზღვრო პროვინციის ფონგსალის მოსახლეობა ქვლავ არის პეკინის წამქეზებლური მოქმედების ობიექტი.

ჩინეთის ხელისუფლებამ თავიანთი აგენტების მეშვეობით, რომლებსაც არალეგალურად გზავნიან პროვინციაში, პროვოკაციული საქმიანობა გააჩაღეს ეთნიკურ ჩინელთა და ერო

ნათელი სიცოცხლე

ლენინური გვარდიის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს, ინჟინერსა და პედაგოგს, გამორჩენილ ენერგეტიკოსს, ქვეყნის და პარტიის ერთგულ შვილსა და პატრიოტს შალვა კონსტანტინეს ძე გაბრიჩიძეს დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

ხანმოკლე იყო შ. გაბრიჩიძის სიცოცხლე, იგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ხალხის კეთილდღეობას, მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შესწირა.

შ. გაბრიჩიძე დაიბადა 1899 წელს ქ. ქუთაისში, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე გაბრიჩიძის ოჯახში, მრომითი საქმიანობა ადრე, მამის გარდაცვალების შემდეგ, 10 წლის ასაკში დაიწყო. 1917 წელს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ქ. ბათუმში წავიდა, სადაც არალეგალური ორგანიზაციის მუშაობაში ჩაება და აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ გაფიცვებში, იწვეოდა საგიტაციო მუშაობას.

1916 წლიდან ს. ორჯონიკიძის რეკომენდაციით შალვა გაბრიჩიძე ბოლშევიკური პარტიის რიგებშია. 1919 წელს კი, მენშევიკური მთავრობის განუწყვეტელი დევნის გამო, იგი იძულებული ხდება თავი დროებით აზერბაიჯანს შეაფაროს, სადაც უკავშირდება არალეგალურ ორგანიზაციებს და მთავრობის საწინააღმდეგო აქტიურ საქმიანობას განაგრძობს, რისთვისაც მას ორჯერ ანატიმრებენ.

1920-21 წლებში შ. გაბრიჩიძე აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტის მდივანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას გული მიაწევს საქართველოსაკენ მოუწევს, სურს თავის ხალხს მხარში ამოუდგეს, მასთან ერთად იზიაროს საბოლოო გამარჯვება.

ამ პერიოდში იგი ბაქოდან დედას წერს: „მოგიკითხავ დიდი სიყვარულით და გისურვებ კარგად ყოფნას, მე ისე ვარ, შენ რომ გაგიხარდება, ოღონდ ბევრს ვმუშაობ, რას იზამ, ასე მოითხოვს საქმე. მგონი, მანდეთ შენ ბევრნაირ, ვინც ამ წერილს მოგიტანს, ის გეტყვის ყველაფერს. ახლა მშვიდობით“.

სულ მალე წითელი არმიის ნაწილები საქართველოსაკენ დაიძრნენ. შალვა მათთან ერთად არის და იარაღით ხელში იბრძვის მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შალვა გაბრიჩიძეს რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის მდივნად და სამხედრო პარტიული სკოლის უფროსად ნიშნავენ.

1922-23 წლებში იგი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანია, 1923 წლის ბოლოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატის პასუხისმგებელ მდივნად გადაჰყავთ, 1924-25 წლებში კი მას ამიერკავკასიის საგეგმო კომისიის მდივნად ნიშნავენ.

სადაც უნდა ემუშავა შალვა გაბრიჩიძეს, ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც თავისი საქმის ღრმად მცოდნე, ერუდირებული, გულისხმიერი ხელმძღვანელი, უანგარო, პარტიის მიზანდასახულობათა ერთგული, ფართო გაქანების მუშაკი.

1925 წელს შ. გაბრიჩიძე სწავლის გასაგრძელებლად ლენინგრადში მიემგზავრება, სადაც 1929 წელს წარჩინებით ამთავრებს გზათა საინჟინრო ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტს და იმავე წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში.

მალე მას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორად ნიშნავენ, რომლის რეორგანიზაციის შემდეგ სამშენებლო ინსტიტუტის, ხოლო შემდგომში კი სამთო მეტალურგიული ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე ინიშნება და პარალელურად ქიმიის ინსტიტუტში მექანიკის კათედრას განაგებს.

შალვა გაბრიჩიძის საქმიანობა მარტო ადმინისტრაციული თანამდებობით როდი ამოიწურებოდა. პარალელურად იგი ფართო საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა, იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების შტატგარეშე ინსტრუქტორი, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი...

1932 წელს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების წინადადებით შ. გაბრიჩიძეს საქართველოში საკავშირო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილედ ამტკიცებენ, ხოლო ბესარიონ ჯიქიძის რეკომენდაციითა და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით პარალელურად საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგურის, ლენინური გოელროს პირმშოს — ზაჰესის მეორე რიგის მშენებლობის ხელმძღვანელად ინიშნება.

ზაჰესის მეორე რიგის მშენებლობა 1930 წელს დაიწყო, მაგრამ მასალებითა და მოწყობილობით ცუდი მომარაგებისა და განსაკუთრებით სუსტი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის გამო მშენებლობა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

მშენებლობაზე შ. გაბრიჩიძის მისვლის მომენტიდან და მის მიერ გატარებულ კადრების სწორი ხელახალი განაწილების პოლიტიკის შედეგად საქმე ძირფესვიანად გარდაიქმნა. ჩამორჩენა უმოკლეს დროში იქნა დაძლეული, 1934 წლის 25 იანვრისათვის აგრეგატი უკვე მზად იყო გამოცდისათვის.

1934 წლის აპრილში, ესე იგი შ. გაბრიჩიძის მშენებლობის უფროსად დანიშვნიდან ერთი წლის შემდეგ, ზემო ავჭალის ჰიდროსადგურების მეორე რიგი გადაეცა საექსპლოატაციოდ, რომელიც დღესაც შეუფერხებლად ემსახურება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

მთავრობის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა როგორც პროექტის, ისე სადგურის მოწყობილობის განლაგების, აგრეთვე მისი მონტაჟის, ბეტონის სამუშაოების (რომელიც სანიმუშოდ იქნა ცნობილი) და საერთოდ ელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემის მომზადების მაღალი დონე. მხოლოდ მშენებლობის ტემპისა და ორგანიზაციის სანიმუშო მომზადებამ, ხელმძღვანელობის მაღალ ორგანიზაციულ-ტექნიკურმა დონემ, რომელშიც შალვა გაბრიჩიძეს გადამწყვეტი როლი მიუძღვის, უზრუნველყო ელექტროსადგურის დროულად ამოშავება და მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 6,5 პროცენტით შემცირება.

შ. გაბრიჩიძემ, როგორც ხელმძღვანელმა, როგორც სპეციალისტმა ინჟინერმა და თავისი ქვეყნის პატრიოტმა და კეთილშობილმა მოქალაქემ, მაღალკვალიფიციური კადრების აღმზრდელმა და უანგარო კომუნისტმა, სწორედ აქ, ამ მეტად მნიშვნელოვან მშენებლობაზე გამოავლინა მთელი თავისი ცოდნა, ერუდიცია და ხელმძღვანელობის დიდი უნარი.

მომდევნო წლებში შალვა გაბრიჩიძე საქართველოს ენერგომეურნეობის (საქენერგოს) უფროსია, მხოლდ 1936 წელს გადაჰყავთ იგი უაღრესად პასუხსაგებ პოსტზე, საქართველოში პირველი მძლავრი საბაზისო ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურების მშენებლობის ხელმძღვანელად. ამ ობიექტის მშენებლობის წარმატებით ხელმძღვანელობისათვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-15 წლისთავზე რესპუბლიკის სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად მას შრომის წითელი დროშის ორდენით აჯილდოებენ.

ტყვარჩელის სახელმწიფო თბოელსადგურების მშენებლობა 1937 წელს დამთავრდა და იმავე წლიდან შ. გაბრიჩიძე კვლავ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორია, სადაც იგი უსაზღვრო სიყვარულითა და მონდომებით უანგაროდ ემსახურებოდა ეროვნული კადრების აღზრდის უაღრესად კეთილშობილურ საქმეს.

შ. გაბრიჩიძე 1937 წელს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა.

შ. გაბრიჩიძის ტრადიციებზე აღზრდილნი არასოდეს არ დავიწყებენ მის სახელს და მუდამ სიყვარულით, ღრმა მადლიერების გრძნობით მოიხსენიებენ მას.

ბ. მხეიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

ჰოლანდიაში გამოიცა

ჩრდილოეთ ჰოლანდიის საგამომცემლო კომპანიამ (ამსტერდამი-ოქსფორდი-ნიუ-იორკი) ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა ვ. კუპრაძის, თ. გეგელიას, მ. ბაშელეიშვილისა და თ. ბურჯულაძის მონოგრაფია „დრეკადობისა და თერმოდრეკადობის მათემატიკური თეორიის საგანგზომილებიანი ამოცანები“. მონოგრაფია წარმოადგენს მათემატიკურ მსოფლიოში კარგად ცნობილი გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის ჩრდილოეთჰოლანდიური სერიის 25-ე ტომს (სერიის მთავარი რედაქტორები არიან თვალსაჩინო ნიდერლანდელი მეცნიერები ჰ. ლოვერიერი და ვ. კოიტერი).

„საგანგზომილებიანი ამოცანები“ პირველად რუსულ ენაზე 1968 წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. 1971 წელს წიგნს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. 1976 წელს მოსკოვში ვ. კუპრაძის საერთო რედაქციით რუსულ ენაზე გამოვიდა მონოგრაფიის მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. ინგლისური თარგმანი ამ გამოცემიდან არის შესრულებული. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ-ჰოლანდიური პუბლიკაციის პოლიგრაფიული დონე ერთობ მაღალია.

მონოგრაფიაში მათემატიკური სიმკაცრის თანამედროვე დონეზე პირველად არის ერთნაირი სისრულით განხილული დრეკადობის, თერმოდრეკადობისა და მომენტური დრეკადობის წრფივი თეორიის სტატიკის, ჰარმონიული რხევებისა და ზოგადი დინამიკის სამგანზომილებიანი ამოცანები. მრავალგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა და სინგულარულ პოტენციალთა მეთოდით, რომელიც წიგნშია განვითარებული, გამოკვლეულია აღნიშნული თეორიის ზოგადი საკითხები და ამონახსნთა წარმოდგენები მიღებული ძალა მწკრივებისა და კვადრატურების სახით. ამ წარმოდგენების ეფექტიანი რეალიზაცია შეიძლება ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებზე.

ოთხი ქართველი ავტორის მონოგრაფიის „გამოქვეყნება საზღვარგარეთ ქართული მათემატიკური მეცნიერების მიღწევათა კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარებაა.

თ. ეგანოიძე.

„კლუბკინოს“ ეკრანზე

ქართველი კინორეჟისორის საღამო ჭ. იენში

უაღრესად საინტერესო და საყურადღებო საქმიანობას ეწევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენის კინოთეატრ „კაპიტოლთან“ შექმნილი „კლუბკინო“, რომელიც ხელოვნების ამ დარგის მოყვარულთა შორის დიდად პოპულარულია და კინემატოგრაფიის აქტიურ და დაუცხრომელ პროპაგანდისტად გვევლინება.

კინოხელოვნების პროპაგანდის ამ კერის ხელმძღვანელობს ქართული კინოს დიდი მოტრფიალე კრისტა ნიდერი, რომელმაც საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა იენაში მოსწავლე ქართველ სტუდენტობასთან.

და აი, „კლუბკინომ“ ქართველი სტუდენტების თაოსნობით და დახმარებით ამას წინათ მოაწყო რუსთაველის პრემიის ლაურეატის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კინორეჟისორ თენგიზ აბულაძის საღამო. ამ საინტერესო ღონისძიების ორგანიზატორებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოარქივიდან ითხოვეს „ვედრება“ და „ნატვრის ხე“, რომლებიც უჩვენეს საღამოზე მოსულ „კლუბკინოს“ წევრებს.

ფილმების ჩვენებამდე იენის უნივერსიტეტის გერმანული ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა დ. კაკაბაძემ დამსწრეთ გააცნო ზოგი რამ ქართული კინოს ისტორიიდან, ილაპარაკა თ. აბულაძის შემოქმედებაზე, „ვედრებაში“ წამოჭრილ პრობლემებზე, განმარტა ზოგიერთი საკითხი „ნატვრის ხიდან“.

„კლუბკინოს“ წევრთათვის ყველაფერი გასაგები რომ ყოფილიყო, ფილმები ჩვენებისას სინქრონულად ითარგმნებოდა გერმანულ ენაზე, რასაც საუკეთოდ გაართვა თავი ადგილობრივი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტმა დ. ხეჩინაშვილმა.

ფილმებს მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა. ასევე საინტერესოდ წარიმართა დისკუსია, რომელშიც „კლუბკინოს“ წევრთა გარდა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს იენის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა ა. პაპაშვილმა, დ. ხეჩინაშვილმა, ეკონომიკის ფაკულტეტის ასპირანტმა ს. ჩხიკვიშვილმა.

ახლა „კლუბკინოს“ გეგმაშია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რეჟისორ ოთარ იოსელიანის ასეთივე საღამოს მოწყობა.

მ. გიგაური.

თეატრის მოქალაქეობრივი პოზიცია

ქართული თეატრის შემოქმედებით სახეს განსაზღვრავენ დიდი აზრის, თამამი ნოვატორული ფორმების, სიცოცხლის სიყვარულის პათოსით აღსავსე ნაწარმოებები — ეს აზრი გამოთქვეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმის მონაწილეებმა. პლენუმმა შეაჯამა გასული სეზონის შედეგები და დასახა ქართული სასცენო ხელოვნების შემდგომი განვითარების ამოცანები.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ. მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ თეატრმცოდნემ ნ. ჯურაბაანძემ.

გასული თეატრალური სეზონი, აღნიშნეს გამომსვლელებმა, ღირსშესანიშნავი იყო მრავალი თვალსაზრისით: შეიქმნა სპექტაკლები, რომლებმაც ცხადყვეს, რომ თეატრები აქტიურად ეძებენ თემებს და მათ საინტერესო მხატვრულ გადაწყვეტებს, ქართულ სცენაზე იდგმება თანამედროვე და საბჭოთა ავტორების, საზღვარგარეთელი კლასიკოსების პიესები.

წარმატებით ჩამოვიდნენ ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური და თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრები მოსკოვში, ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრი ლენინგრადში; ტრიუმფალური იყო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გამოსვლები იუგოსლავიაში და ედინბურგის ფესტივალზე.

ის ფაქტი, რომ განხორციელებულ 102 სპექტაკლიდან ნახევარზე მეტი ქართული და საბჭოთა თანამედროვე დრამატურგების ნაწარმოებების მიხედვით დაიდგა, მეტყველებს, რომ რესპუბლიკის თეატრებს სულ უფრო მეტად იზიდავს თანამედროვე თემატიკა.

ამავე დროს ისეთ თეატრს, როგორიცაა რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელიც მაყურებელს ახარებდა დ. კლდიაშვილის, პ. კაკაბაძის, შ. დადიანის ნაწარმოებთა უაღრესად საინტერესო გადაპრით, გასულ სეზონში არ დაუდგამს ქართველი ავტორის არცერთი პიესა. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა ამ კოლექტივის ცხოვრებაში.

რესპუბლიკის თეატრების საჭმიანობაში ყველა ძირითად ნაკლად რჩება სპექტაკლების დაბალი ხარისხი, რომლებიც არ უპასუხებენ მაღალი იდეურობის, პრობლემურობის, თანამედროვეობის მოთხოვნებს ამ მიმართულებით ფართო გგგებით. (საქინფორმი).

ინფორმაცია — 79

ჩვენს არემარეში

სკოლაში მოვიდა მეცნიერი

ადიგენი. (საკ. კორ. შ. მაისურაძე). კარგა ხანია, რაც ბასსუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია შეფობას უწევს სოფელ ვარხნის საშუალო სკოლას. ობსერვატორიის მეცნიერი მუშაკები სკოლის ხშირი სტუმრები არიან. ისინი სკოლას ეხმარებიან სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობასა და ხელსაწყოიარაღებით უზრუნველყოფაში, სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ესაუბრებიან მათთვის საინტერესო თემებზე, უკითხავენ ლექციებს.

ამას წინათ სკოლას ესტუმრა ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე. იგი ესაუბრა სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, დათვალიერა საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები.

სოფელი ისმენს ოპერას

გეგეჭკორი. (საკ. კორ. ბ. მილიუტინი). ნაგვაზაო დიდი სოფელია. აქ შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. ამის დასტურია არა მარტო მათი შრომის ხვავი და ბარაქა, არამედ კულტურის კერები, რომელთაგან უპირველესია დიდებული კულტურის სასახლე, სადაც ნაგვაზაოელებმა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დიდგმით ნახეს და მოისმინეს ზ. ფალიაშვილის ოპერები.

მეგბალურები ასპარეზობენ

ხაშური. (საკ. კორ. გ. ვაშაკიძე) ქვიშხეთის მიდამოებში, მდინარე მტკვარზე მოეწყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა ანკესით თევზჭერაში. ასპარეზობამ ასობით მოყვარული მიიზიდა. ალის საბჭოთა მეურნეობის მეთევზეებმა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს.

მუროველთა სამსახურში

ქუთაისში მწყობრში ჩადგა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი „რიონი“, ოთხსართულიან, გრანიტით მოპირკეთებულ შენობაში მუშაობს „სილამაზის სალონი“ მამაკაცთა და ქალთა საპარიკმახეროებით, ხმისჩამწერი სტუდია, ფოტოატელიე, საათებისა და საიუველირო ნაწარმის შემკეთებელი სახელოსნოები.

მეორე და მესამე სართულები დათმობილი აქვს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სახელოსნოებს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში მუშაობს ტანსაცმლის ახალი მოდელების ექსპერიმენტული უბანი, რომელსაც აქვს აგრეთვე სადემონსტრაციო დარბაზი.

სურათებზე: ზემოთ — საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი სახლი „რიონი“; ქვემოთ — შეკვეთების მიღების სალონში გამოფენილია საყოფაცხოვრებო საგნების ახალი ნიმუშები.

გ. ვერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეპაპანი

საზონათშორისო ტურნირებზე

რიო-დე-ჟანეიროში გრძელდება ქალთა და ვაჟთა მსოფლიო პირველობების საზონათშორისო ტურნირები.

ქალთა ასპარეზობის მეთერთმეტე ტურში ნანა ოსელიანმა დაამარცხა ბორისლავა ბორისოვა (შვეიცია) და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს. ახლა მას 10 შესაძლებლიდან 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. ამავე ტურში ნანა ალექსანდრიამ მოუგო კვეტა ერეტოვას (ჩეხოსლოვაკია), ტატიანა ზატულოვსკაიამ — ბარბარა ხუნდს (გფრ). ვალენტინა კოზლოვსკაიამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა უნგრელ ჟუჟა ვერეკისთან. 7 ქულით და 2 გადადებული პარტიით მეორე ადგილზეა ალექსანდრია. ვერეკის 6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. ელისაბედ პოლიჩრონიადმ (რუმინეთი), მილუნკა ლაზარევიჩმა (იუგოსლავია) და კოზლოვსკაიამ — 6-6 ქულა დააგროვეს. პირველ ორს 2-2 გადადებული პარტია აქვს, ხოლო მესამეს — ერთი.

ვაჟთა შეჯიბრების მეთორმეტე ტურში დაზვდნენ: ტიგრან პეტროსიანი-ლაიმ პორტაში (უნგრეთი), რაფაელ ვაჰანიანი — რობერტ ჰიუბნერი (გფრ), დიფულა საქსი (უნგრეთი)-ბორისლავ ივკოვი (იუგოსლავია), ჟაიმ სუნიე (ბრაზილია)-სიმონ ავგანი (ისრაელი). იური ბალაშოვმა გადასდო შეხვედრა დრაგოლუბ ველიმიროვიჩთან (იუგოსლავია). **კვლავ ლიდერობს პორტაში — 8 ქულა.** მომდევნო ადგილებზე არიან: ჰიუბნერი — 7,5 ქულა, პეტროსიანი, საქსი და ვაჰანიანი — 6-6. ვაჰანიანს 1 პარტია გადადებული აქვს.

28-ე ტური

გუუინ „ტორპედოსა“ და „ყარითის“ მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 28-ე ტური. ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

დღეს ამ ტურის ექვსი მატჩი გაიმართება. ერთმანეთს ხვდებიან: „ფახთაქორი“-ასკ, „კიევის „დინამო“-„ნეფტჩი“, მინსკის „დინამო“-მოსკოვის „დინამო“, „შახტიორი“-„ზარია“, ცსკა-„სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“-„არარატი“.

თბილისის „დინამო“ და „არარატი“ საკავშირო ჩემპიონატებში აქამდე ერთმანეთს 37-ჯერ შეხვდნენ. აქედან თბილისელებმა მოიგეს 15 მატჩი, 12 შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და 10 წააგეს. ბურთების შეფარდებაა 48:44 დინამოელთა სასარგებლოდ.

ხვალ 28-ე ტურის ბოლო ორი შეხვედრა გაიმართება: „ზენიტი“-„ჩერნომორეცი“, „ლოკომოტივი“-„კრილია სოვეტოვი“.

სად, რა, როდის

გუუინ, გუუინყინ

წყალბურთი. კიევში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება, თასს დაეუფლა სამხედროსაზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის კოლექტივი, რომელმაც ფინალურ ოთხეულში სამივე მატჩი მოიგო. სპორტკლუბის წყალბურთელებმა ჯერ კასპიის წითელროშოვანი ფლოტილიის გუნდი დაამარცხეს (9:4), შემდეგ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები (8:4), ბოლოს კი თბილისის „დინამო“ (6:2). მოსკოველმა სტუდენტებმა და თბილისელმა დინამოელებმა 3-3 ქულა დააგროვეს. ბურთების უკეთესი ბალანსით სტუდენტები მეორე ადგილზე გავიდნენ, თბილისელებს კი წილად მესამე ადგილი ხვდათ.

სოლლა, იტალიის სოფელ მონტეკატინის მიდამოებში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში თავი ისახელა თბილისელმა თ. იმნაიშვილმა. მან მრგვალ სტენდზე სროლაში 197 ქულა დააგროვა და მესამე ადგილი დაიკავა.

ჩოგბურთი. 1979 წლის დეკემბრის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის ნაკრები გუნდები. ნახევარფინალში ამერიკელებმა მოუგეს ავსტრალიელებს (4:1), ხოლო იტალიელებმა ჩეხოსლოვაკიელებს (4:1). ფინალური მატჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება 14-16 დეკემბერს.

კალათბურთი. სან-პაულოში გათამაშდა საკონტინენტთაშორისო თასი საკლუბო გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს „სირიუმ“ (ბრაზილია), „ბოსნამ“ (იუგოსლავია), „ემერსონმა“ (იტალია), „მოკანმა“ (აშშ) და „კიბრედილასმა“ (პუერტო-რიკო). თასი მოიპოვა „სირიუმ“.

ზაზი. ჰოლანდიის ქალაქ უტარეხტში გრძელდება მატჩი მსოფლიო პირველობაზე ანატოლი განტვარგსა (სსრ კავშირი) და ჰარმ ვირსმას (ჰოლანდია) შორის. მეექვსე პარტია ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია 3,5:2,5 განტვარგის სასარგებლოდ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.



თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ გვაქვს ღია მსმენელთა მიღება მოსაშზადებელ კურსებზე.

კურსებზე მიიღებიან როგორც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, ისე უფროსი კლასების მოსწავლეები.

შეცადინეობა ეწყობა კვირაში 3-ჯერ ორ ცვლად — ხაზამოს 4-დან 7 საათამდე და 7-დან 10 საათამდე ინსტიტუტის შენობაში. კურსებზე ისწავლება **უცხო ენა, ქართული და რუსული ენა და ლიტერატურა, სსრკ ისტორია.**

კურსებზე შემომსვლელებს უნდა წარმოადგინონ მხოლოდ განცხადება. სწავლის წლიური გადასახადი 60 მანეთია.

მისამართი — ი. ჭავჭავაძის გამზ. № 45, ტელ. 22-32-48.



საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

მიმდინარე წელს აცხადებს დამატებით მიღებას ასპირანტურაში შემდეგ სპეციალობებზე: „ქალაქმშენებლობა, რაიონული დაგეგმარება, ლანდშაფტური არქიტექტურა და სასოფლო-სამეურნეო დასახლების დაგეგმარება“.

ქ. თბილისის № 132 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1979-80 სასწავლო წლისათვის ელექტრომექანიკური მრეწველობისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის შემდეგ სპეციალობებზე:



ელექტროაპარატებისა და ხელსაწყოების მიმღები კონტროლიორი, ელექტროაპარატურისა და ხელსაწყოების ამწყობები, სამედიცინო დანადგარების შემკეთებელ-მექანიკოსი, სამედიცინო სარენტგენო დანადგარების შემკეთებელი ელექტრომექანიკოსი, ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზის ლაბორანტი.

სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობა ეძლევათ საორტაქსმენებსა და ჯანმრთელობის დაცვის რაიონული განყოფილებიდან მოვლინებულ ახალგაზრდებს.

გამოცდები იწარმოებს სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად გასაუბრების სახით 13-14 ოქტომბრიდან. წვევამდელებს საყოველთაო სამხედრო სამსახური გადაუვადდებათ ერთი წლით.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება სასწავლებლის დირექტორის სახელზე, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), დახასიათება სკოლიდან ან უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286), ავტობიოგრაფია, 4 ცალი ფოტოსურათი (3X4 სმ), სპორტი და სამხედრო მოწერა, ბარათი წარმოადგენეთ პირადად.

საბუთები მიიღება ყოველ დღე დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ქიროვის რაიონი, მარნეულის ქ. 37, ფონტალ. ტელეფონი: 72-27-37.

მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა საყურადღებოდ!

თბილტრანსსაბენტო ლებულობს მსუბუქი ავტომანქანების გაცვეთილ საბურავებს საგარეჯოს საბურავების შემკეთებელ ქარხანაში ალადგენად. ასრულებს საბურავების გადაზიდვას, მის შეკეთებას, ვულკანიზაციას, ბალანსირებას და ავტომობილზე დაყენების ყველა ოპერაციას.

საბურავის სარემონტო ჩაბარება-მოტანის ღირებულება 1 მანეთი და 70 კაპიკი;

საბურავის რემონტის ფასი ზომების მიხედვით 8-დან 15 მანეთამდე;

საბურავის წნევის რეგულირება, მანჭანიდან მოხსნილი თვლის ბალანსირება 80 კაპიკი;

10 მმ გახვრეტილი კამერის ვულკანიზაცია 0-15 კაპიკი;

თვლების მოხსნა-დაყენება 0-45 კაპიკი.

გარემონტებული საბურავების საგარანტიო გარანტია შეადგენს 9-12 თვის კმ.

თბილტრანსსაგენტოს მიღები პუნქტების მისამართები: ქ. თბილისი — საბურთალო, ქ. № 41, ტელ. 36-78-32; გლდანის მასივი, VIII მიკრორაიონი, 23-ე კორპუსი;

გორი — ძნელაძის ქ. № 34;

თელავი — ორბელიანი ქ. № 3;

რუსთავი — მეგობრობა ქ. № 2;

კასპის რაიონი, სოფ. იგოეთი ლაგოდეხის რაიონი, სოფ. ავეში.

ცნობებისათვის მიმართეთ მისამართით: თბილისი, სანაროს ქ. № 8, ტელ. № 99-53-1.

თბილისის სატრანსპორტო საექსპედიციო ოპერაციის კანტორა.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი

გაცნობებთ, რომ ბუნების დაცვის სახალხო უნივერსიტეტში ორივე ფაკულტეტის (ბუნების დაცვის და მწვანე მშენებლობისა და მეყვავილეობის ფაკულტეტების) I და II კურსის მსმენელთა შეკრება გაიმართება 1979 წლის 26 ოქტომბერს 14 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 35, ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

ცნობებისათვის დარეკეთ 22-47-92; 22-21-94.

ტელევიზია

10 ოქტომბერი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრცელია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.30 — ბიბეურინეტათათვის — ზათემატიკა (ფ.), 17.05 — მეგვიზეგლოთ გერმანული ენა, 17.35 — ფულგიპლიკაციური ფილმი, 18.00 — „სსრ კავშირის 1979 წლის პრემიის მოსაპოვებლად თეატრალური ხელოვნების დარგში (მ.), 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „დინამო“ თბილისი — „არარატი“ ერევანი. ტეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან (ფ.), შესვენების დროს 20 საათსა და 45 წუთზე „ეოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.00 — საგელევეზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „აღორძინება“ ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის ფიგნის მიხედვით. ფილმი მესამე. პროგრამა (მ.). 22.00 — „ვრცელია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საბჭოთა კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის კულტურის დღეების გახსნა — ეძღვნება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების 30 წლისთავს. გადმოცემა კრემლის ყრილობათა სასახლიდან (მ.), შესვენების დროს — „დღეს მსოფლიოში“ (მ.).

მეორე პროგრამა: 15.40 — ლიტერატურული გადაცემა „ზეყოველის შემძლეა“ — ჯემალ